დადგენილება:**დ-37.372211911**
თარიღი:**29/04/2022**

# დადგენილება N9

2022 წლის 29 აპრილი

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**ა დ გ ე ნ ს :**

**მუხლი 1.**

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (შემდგომში - „პროგრამის“) განხორციელების წესი თანახმად N1 დანართისა.

**მუხლი 2.**

დამტკიცდეს პროგრამის ბიზნეს იდეის ფორმა თანახმად N2 დანართისა.

**მუხლი 3.**

დამტკიცდეს ბიზნეს გეგმის შეფასების ფორმა თანახმად N3 დანართისა.

**მუხლი 4.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი